კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ssiპ - ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	მოსწავლეები
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	VI კლასი
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი „პატარა უფლისწული“
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში (მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფ ინედ უს ვე ბგვე რდ ს)	ფული ქველმოქმედება პატენტი დაგროვება სარგებელი

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები (მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)	• ინტერაქტიული პრეზენტაცია; • დისკუსია; • ლიტერატურული ტექსტის განხილვა კითხვა-პასუხით; • შემოქმედებითი აქტივობები (წერილი, რჩევის გაზიარება, პერსონაჟის ხედვის კუთხის წარმოჩენა...). აღნიშნული მეთოდები ხელს უწყობს მოსწავლეთა ინფორმირებას, ინფორმაციის ვიზუალურ აღქმასა და გააზრებას, ახალი იდეების წარმოჩენას, მოტივაციას, შთაგონებას, ცოდნის წარმოჩენას, ავითარებს კრიტიკულ და შემოქმედებით უნარებს.
აქტივობის აღწერა (აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)	I. ინტერაქტიული შეხვედრა ფინედუს დესპანთან. შეხვედრის პირველი ნაწილი ფინანსური წიგნიერების ისეთი საკითხების განხილვას დაეთმო, როგორიცაა ბანკი - ეროვნული ბანკის დანიშნულება, ფულის ისტორია, ფულის მართვა, სარგებელი, საჭიროება და სურვილი, დაზოგვა, პირადი ბიუჯეტი, ქველმოქმედება. შეხვედრაზე მოსწავლეებმა ისაუბრეს დაზოგვის შესახებ და ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება მათ ასევე გამოხატეს დამოკიდებულება ქველმოქმედებასთან დაკავშირებით. ისაუბრეს იმ ემოციებსა და განცდებზე, რაც სხვათა დახმარებით შეიძლება მიიღოს ადამიანმა. II. ეგზიუპერის ნაწარმოების ,,პატარა უფლისწულის“ კითხვა და მე-13 თავის დეტალური განხილვა: • ბიზნესმენი ამბობს, რომ მას შეუძლია თავისი ვარსკვლავები ,,ბანკში შეიტანოს“: ,,- ფურცელზე ვწერ, რამდენი ვარსკვლავი მაქვს. მერე ამ ფურცელს ყუთში ვაგდებ და გასაღებით ვკეტავ.“ როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა ბიზნესმენს სწორი წარმოდგენა ბანკის შესახებ? რა მიზნით შეაქვთ ადამიანებს თავიანთი სიმდიდრე ბანკში? • ბიზნესმენი ამბობს, რომ ის მდიდარი კაცია. როგორ ფიქრობთ, იყენებს თუ არა იგი გონივრულად თავის სიმდიდრეს? • თქვენი აზრით, მოაქვს თუ არა რაიმე სარგებელი ბიზნესმენისთვის ვარსკვლავების დათვლას? • თქვენი აზრით, შეუძლია თუ არა მას ვარსკვლავების სილამაზით ტკბობა? • იღებს თუ არა ბიზნესმენი თავისი საქმიანობით სიამოვნებას? • ბიზნესმენიგან განსხვავებით პატარა პრინცი მცირე ,,ქონებას“- ერთ ვარდსა და სამ ვულკანს - ფლობს. რა დამოკიდებულება აქვს პრინცს თავისი ქონების მიმართ? (როგორ ექცევა ვარდსა და ვულკანებს პრინცი?) • იმსჯელე, რითი განსხვავდება პრინცისა და ბიზნესმენის დამოკიდებულება სიმდიდრისადმი და რომლის აზრი უფრო სარგებლის მომტანია?

	III. მისწერე წერილი ბიზნესმენს და დაარწმუნე შეცვალოს თავისი ცხოვრება. წერილში განუმარტე, რა დანიშნულება აქვს სიმდიდრეს (ფულს). აუხსენი, როგორ შეუძლია დაგროვებული ქონების გამოყენება და საკუთარი თუ სხვათა ცხოვრების შეცვლა გაზიარებით. განუმარტე, რა არის ქველმოქმედება და ესაუბრე იმ განცდებსა თუ ემოციებზე, რომელიც სხვათა დახმარებით შეიძლება მიიღოს. IV. წარმოიდგინეთ, რომ ბიზნესმენს მობეზრდა ვარსკვლავების დათვლა და ცხოვრების შეცვლა გადაწყვიტა. მიეცით მას სამი რჩევა, რომელიც დაეხმარება პირველი ნაბიჯების გადადგმაში. V. წარმოიდგინეთ, რომ პატარა პრინცმა თავისი ჩამქრალი ვულკანის დაპატენტება გადაწყვიტა და რჩევის საკითხავად ბიზნესმენთან მივიდა. ბიზნესმენის ხედვის კუთხიდან, აუხსენით პრინცს რა არის პატენტი და რატომ უნდა დააპატენტოს მან თავისი ჩამქრალი ვულკანი. VI. მოიფიქრეთ იდეები, როგორ შეიძლება გამოიყენოთ ბანკში დადებული ვარსკვლავები. როგორ შეძლებთ ვარსკვლავების გაზიარებას ისე, რომ ბიზნესმენმაც მიიღოს სარგებელი და სხვებმაც.
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ (მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)	ზოგჯერ მოზარდები თვლიან, რომ ბედნიერების ერთადერთი წინაპირობა სიმდიდრის დაგროვებაა. უამრავი ადამიანი ქონების მოსახვეჭად თავდაუზოგავად შრომობს. ფულის დაგროვების პროცესში კი ავიწყდებათ ყველაზე მთავარი - ცხოვრებით ტკბობა და ბედნიერების განცდა. სწორედ ასეთი პერსონაჟია დახატული ეგზიუპერის ნაწარმოებში საქმოსნის სახით. ნაწარმოების მთავარი გმირი, პატარა პრინცი, ერთ დღეს მოგზაურობას გადაწყვეტს. იგი აღმოჩნდება პლანეტაზე, რომელიც ბიზნესმენს ეკუთვნის. ეს კაცი სულ მოუცლელი იყო და სტუმრის მისვლაც კი ვერ შეამჩნია. იგი ხმამაღლა ითვლის და ანგარიშობს, არ სურს პრინცის მომაბეზრებელ კითხვებზე პასუხის გაცემა, რადგან წუთის დაკარგვაც არ შეუძლია. ბიზნესმენი არის იმ ადამიანის მეტაფორული სახე, რომელიც მუდამ ქონების დაგროვებისთვის ისწრაფვის, არ სცალია საკუთარი თავისა თუ გარშემომყოფთათვის. მას ახალი მნათობების აღმოჩენა, დაპატენტება და ბანკში შეტანა სურს. ვერ აფასებს იმას, რაც აქვს, არ შეუძლია ქონების გონივრულად გამოყენება და ტკბობა. იგი ცხოვრებას ვარსკვლავების დათვლასა და ,,დაგროვებაში“ ატარებს. ნაწარმოებიდან ჩანს, რომ ამ საქმით არც მას აქვს რაიმე სარგებელი და არც სხვა რომელიმე სულიერს. ის თვლის, რომ არის მდიდარი, თუმცა მის სიმდიდრეს არ მოაქვს სარგებელი არც საკუთარი თავისთვის და არც სხვათათვის. ბიზნესმენისგან განსხვავებით პატარა პრინცი სულაც არ თვლის თავს მდიდარ არსებად. იგი მხოლოდ ყვავილსა და სამ ვულკანს ფლობს. მისი ,,ფლობა“ სასარგებლოა. იგი ზრუნავს და უვლის თავის ყვავილსა და ვულკანებს. ამით თვითონაც სიამოვნებას იღებს და სხვისთვისაც (ყვავილისთვის/ვულკანებისთვის) სარგებელი მოაქვს.

	ზემოთ მოცემული აქტივობების განხორციელების შემდეგ, მოსწავლეებმა შეაფასეს ბიზნესმენისა და პატარა პრინცის სიმდიდრისადმი დამოკიდებულება. გაიაზრეს ქონების დაგროვების გზაზე ბიზნესმენის მიერ დაშვებული შეცდომები. გააცნობიერეს, რომ ბედნიერებისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ სიმდიდრის დაგროვება, არამედ უმნიშვნელოვანესია ქონების გონივრულად გამოყენება. მათ პერსონაჟებს მისცეს რჩევები თავიანთი ცხოვრების შესაცვლელად. ბიზნესმენს აჩვენეს გზები თუ როგორ უნდა ექცია პასიური, ,,ბანკში დადებული“ ვარკვლავები, აქტიურ, სარგებლის მომტან ქონებად. მოსწავლეებმა ინფორმაცია შეიტყვეს პატენტის შესახებ და გაიაზრეს რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანმა დააპატენტოს თავისი გამოგონება. მათ ისაუბრეს დაზოგვის, საჭიროებისა და სურვილის, სარგებლის, პირადი ბიუჯეტის, ქველმოქმედების შესახებ და შესწავლილი თემები დაუკავშირეს წაკითხულ ლიტერატურულ ნაწარმოებს. შედეგი, რომელიც განხორციელებული აქტოვობების შემდეგ მივიღეთ, მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილ ნაშრომებით გავზომეთ.